

შპს ბეტსი

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	8
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	11
5. ძირითადი საშუალებები	11
6. სავაჭრო ვალდებულებები.....	12
7. სესხები	12
8. საწესდებო კაპიტალი	12
9. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	13
10. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	13
11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14
12. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	14
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19	31-12-18
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	10,881	59,474	10,319
სავაჭრო მოთხოვნები		1,689	33,381	151,608
მარაგები		661	11,548	56,980
სხვა მიმდინარე აქტივები		51,091	-	41,621
სულ მოკლევადიანი აქტივები		64,322	104,403	260,528
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	4,463,225	4,674,757	4,733,318
არამატერიალური აქტივები		1,947	3,876	5,806
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,465,172	4,678,633	4,739,124
მთლიანი აქტივები		4,529,494	4,783,036	4,999,652
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	6	580,306	431,427	80,630
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		15,139	22,104	389,946
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		595,445	453,531	470,576
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	7	5,962,528	5,107,451	4,510,071
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,962,528	5,107,451	4,510,071
მთლიანი ვალდებულებები		6,557,973	5,560,982	4,980,647
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	8	1,451,360	1,448,460	1,403,783
აკუმულირებული ზარალი		(3,479,839)	(2,226,406)	(1,384,778)
სულ საკუთარი კაპიტალი		(2,028,479)	(777,946)	19,005
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		4,529,494	4,783,036	4,999,652


დირექტორი -----

სტეფენ ბოდინ ჯონსონ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19	31-12-18
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	10,881	59,474	10,319
სავაჭრო მოთხოვნები		1,689	33,381	151,608
მარაგები		661	11,548	56,980
სხვა მიმდინარე აქტივები		51,091	-	41,621
სულ მოკლევადიანი აქტივები		64,322	104,403	260,528
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	4,463,225	4,674,757	4,733,318
არამატერიალური აქტივები		1,947	3,876	5,806
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,465,172	4,678,633	4,739,124
მთლიანი აქტივები		4,529,494	4,783,036	4,999,652
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	6	580,306	431,427	80,630
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		15,139	22,104	389,946
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		595,445	453,531	470,576
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	7	5,962,528	5,107,451	4,510,071
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,962,528	5,107,451	4,510,071
მთლიანი ვალდებულებები		6,557,973	5,560,982	4,980,647
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	8	1,451,360	1,448,460	1,403,783
აკუმულირებული ზარალი		(3,479,839)	(2,226,406)	(1,384,778)
სულ საკუთარი კაპიტალი		(2,028,479)	(777,946)	19,005
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		4,529,494	4,783,036	4,999,652

დირექტორი



სტეფენ ბოდინ ჯონსონ

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	9	274,152	3,566,032
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	9	(55,648)	(467,211)
საერთო მოგება		218,504	3,098,821
ხელფასები და სხვა სარგებელი	10	(119,125)	(1,014,722)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(286,746)	(1,329,023)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(213,462)	(204,340)
სხვა ნეტო შემოსავალი/(ხარჯი)		2,712	(319,106)
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		(398,117)	231,630
საპროცენტო ხარჯი		(326,874)	(270,186)
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(528,442)	(803,072)
ზარალი დაბეგვრამდე		(1,253,433)	(841,628)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		(1,253,433)	(841,628)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარი	1,403,783	(1,384,778)	19,005
წმინდა ზარალი	-	(841,628)	(841,628)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	44,677	-	44,677
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	1,448,460	(2,226,406)	(777,946)
წმინდა ზარალი	-	(1,253,433)	(1,253,433)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	2,900	-	2,900
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	1,451,360	(3,479,839)	(2,028,479)

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბეტსი“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 1995 წელს;

მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, გოგებაშვილის ქ.

№21ა

საიდენტიფიკაციო ნომერი: 203834921

დამფუძნებლები:

- 1) სტეფენ ბოდინ ჯონსონ, 488552827, 01017039780 /აშშ/ - 70%
- 2) მარკ მეო მალენი, 01991002447, 452069716 /ორმაგი მოქალაქე საქართველო, აშშ/ - 20%
- 3) როლანდ სანდამე, 01007007053 - 10%

დირექტორი: სტეფენ ბოდინ ჯონსონ, 488552827, 01017039780 /აშშ/

შპს „ბეტსის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასტუმრო მომსახურება;

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

COVID-19-ის პერიოდში, ტურისტულმა ბიზნესმა განსაკუთრებული დარტყმა მიიღო მომხმარებლების რაოდენობის შემცირების გამო, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კომპანიის შემოსავლებზე. აღნიშნულის გამო კომპანიის მენეჯმენტმა გააკეთა ხუთ წლიანი ფინანსური პროგნოზი, რომლის მიხედვითაც კომპანია ეტაპობრივად ახენს შემოსავლებისა და მომგებიანობის აღდგენას. ამ ანგარიშგების თარიღისთვის, 2021 წლის რეალურმა ეკონომიკურმა და ტურისტულმა ზრდამ გადააჭარბა კომპანიის საპროგნოზო მოლოდინებს. პროგნოზზე და ქვეყნის აღმავალ ეკონომიკურ შედეგებზე დაყრდნობით, მენეჯმენტს, სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის და რომ ფინანსური შედეგების ეტაპობრივი გაუმჯობესება მოსალოდნელია მომავალ წლებში. შედეგად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი

საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს–ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2020 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და მცირედით დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ყველა ის ფინანსური უწყისი, რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	31-12-19	31-12-18
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	59,474	10,319
სავაჭრო მოთხოვნები	33,381	151,608
მარაგები	11,548	56,980
სხვა მიმდინარე აქტივები	-	41,621
სულ მოკლევადიანი აქტივები	104,403	260,528
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	4,674,757	4,733,318
არამატერიალური აქტივები	3,876	5,806
სულ გრძელვადიანი აქტივები	4,678,633	4,739,124
მთლიანი აქტივები	4,783,036	4,999,652
ვალდებულებები და კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	117,649	80,630
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	16,776	389,946
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	134,425	470,576
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სესხები	8	5,107,451
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	5,107,451	4,510,071
მთლიანი ვალდებულებები	5,241,876	4,980,647

შპს ბეტსი

7

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,448,460	1,403,783
გაუნაწილებელი მოგება		(1,907,300)	(1,384,778)
სულ საკუთარი კაპიტალი	9	(458,840)	19,005
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		4,783,036	4,999,652

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	2019	2018
შემოსავალი რელიზაციიდან	3,566,032	3,898,713
რელიზებული საქონლის თვითღირებულება	(467,211)	(450,256)
საერთო მოგება	3,098,821	3,448,457
მიწოდების ხარჯები	(26,733)	(245,701)
ხელფასები და სხვა სარგებელი	(1,014,722)	(1,128,063)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,302,290)	(1,447,018)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(204,340)	(222,252)
სხვა ნეტო შემოსავალი და ხარჯი	-	(13,768)
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე	550,736	391,655
საპროცენტო ხარჯი	(270,186)	(310,033)
მოგება საკურსო სხვაობიდან	(803,072)	(125,013)
მოგება დაზღვევამდე	(522,522)	(43,391)
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება	(522,522)	(43,391)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარი	1,403,783	(1,341,387)	62,396
წმინდა მოგება	-	(43,391)	(43,391)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	1,403,783	(1,384,778)	19,005
წმინდა ზარალი	-	(522,522)	(522,522)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	44,677	-	44,677
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	1,448,460	(1,907,300)	(458,840)

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში. 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად. აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	30
ოფისის აღჭურვილობა	2-4
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-8

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანი იყო გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტელეკომუნიკაციებისა.

3.4 მარაგები.

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მისი საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიას გააჩნია მარაგები რომლებიც დაკავშირებულია სასტუმროს მომსახურებასთან, მათ შორის ჰიგიენური საშუალებები სტუმრების მოსახმარად და საკვები. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

3.5 შემოსავალი რეალიზაციიდან

საწარმომ შემოსავალი უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.6 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

3.7 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული სრულად განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. კომპანია არ ინახავს ფულს სალაროში.

5. ძირითადი საშუალებები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები ჯგუფებად:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დაგროვილი ცვეთა	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მიწის ნაკვეთები	378,800	-	378,800
დაუმთავრებელი მშენებლობა	151,788	-	151,788
შენობა-ნაგებობები	5,920,816	(1,860,025)	4,060,791
ოფისის აღჭურვილობა	204,458	(151,264)	53,194
ავეჯი და სხვა ინვენტარი	119,269	(89,085)	30,184
სულ	6,775,131	(2,100,374)	4,674,757

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები ჯგუფებად:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დაგროვილი ცვეთა	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მიწის ნაკვეთები	378,800	-	378,800
დაუმთავრებელი მშენებლობა	151,788	-	151,788
შენობა-ნაგებობები	5,920,816	(2,039,279)	3,881,537
ოფისის აღჭურვილობა	204,458	(172,102)	32,356
ავეჯი და სხვა ინვენტარი	119,269	(100,525)	18,744
სულ	6,775,131	(2,311,906)	4,463,225

6. სავაჭრო ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-20	31-12-19
იჯარის ვალდებულება	277,036	139,459
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	303,270	291,968
სულ	580,306	431,427

7. სესხები

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სესხები	31-12-20	31-12-19
უცხოური ბანკის სესხი	5,962,528	5,107,451
სულ	5,962,528	5,107,451

კომპანიას აქვს აღებული გრძელვადიანი სესხი Overseas Private Investment Corporation (OPIC)-სგან. სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 6%-ს.

8. საწესდებო კაპიტალი

2019 წელს დამფუძნებლებმა კომპანიის კაპიტალი გაზარდეს 44,677 ლარით, ხოლო 2020 გაზარდეს 2,900 ლარით.

9. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის შემოსავლის ძირითადი წყაროა სასტუმროს ოთახების გაქირავება და სასტუმროს სამზარეულოს/რესტორნის მომსახურება.

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება ძირითადად მოიცავს სასტუმროს სამზარეულოს მომსახურების შედეგად გაწეულ დანახარჯებსა და სტუმრების მოსახმარ ჰიგიენურ საშუალებებს.

COVID-19-ის პერიოდში, ტურისტულმა ბიზნესმა განსაკუთრებული დარტყმა მიიღო მომხმარებლების რაოდენობის შემცირების გამო, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კომპანიის შემოსავლებზე.

2020 და 2019 წლების განმავლობაში დარიცხული შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	31-12-20	31-12-19
წმინდა შემოსავლები	274,152	3,566,032
საქონლის თვითღირებულება	(55,648)	(467,211)
საერთო მოგება	218,504	3,098,821

10. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	31-12-20	31-12-19
მენეჯმენტის კომპენსაცია	24,676	243,446
თანამშრომელთა კომპენსაცია	94,449	771,276
სულ	119,125	1,014,722

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31-12-20	31-12-19
იჯარის ხარჯი	(234,282)	(828,955)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(52,464)	(500,068)
სულ	(286,746)	(1,329,023)

12. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მენეჯმენტის კომპენსაცია

2020 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 24,676 ლარი, ხოლო 2019 წელს 243,446 ლარი.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ამ ანგარიშგების თარიღისთვის, კომპანიის არსებულ დამფუძნებლებს მოლაპარაკება აქვთ პოტენციურ მყიდველთან კომპანიის გაყიდვასთან დაკავშირებით. პოტენციური მყიდველი წარმოადგენს სტრატეგიულ ინვესტორს, რომლის მიზანია სასტუმრო საქმიანობის გაგრძელება არსებულ ლოკაციაზე. პოტენციური გასაყიდი ფასი, რომელიც მოლაპარაკების პროცესშია და სტრატეგიული ინვესტორის მიზანი რომ გააგრძელოს სასტუმროს ბიზნესი, ამყარებს კომპანიის მენეჯმენტის პოზიციას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით.